საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 173^{14} და 173^{15} მუხლები:

„მუხლი 173^{14}. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის დასაქმება, მისთვის საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობის მიცემა ან შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება

„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის დასაქმება, მისთვის საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობის მიცემა ან შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება იმ დაწესებულების მიერ, რომელშიც ამ პირის დასაქმება კანონით აკრძალულია, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება პირის დასაქმების იმ შემთხვევაზე, როდესაც ამ პირს საქმიანობის უფლება „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენის საფუძველზე ჩამოერთვა.

მუხლი 173^{15}. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებული პირის/უფლებაჩამორთმეული პირის მიერ შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობა

„სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებული პირის/უფლებაჩამორთმეული პირის მიერ იმავე კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების არასაპატიო მიზეზით შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარიდან 2 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით.“.

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^1 და 42^2 მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 43^1–44^3, 44^5, 44^7–44^{11}, 45-ე–46^4, 48-ე, 49-ე, 50^1, 51-ე–55^4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^2–მე-60, 60^3–61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, 71^1, 72^1–78-ე, 79^1–81-ე, 82^1, 82^2, 82^5, 84-ე–86-ე, 87^1–89^3, 91^2, 91^3, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100^1, 100^2, 103^1, 104-ე და 105^1 მუხლებით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 128^1–128^5, 143-ე, 144-ე, 144^{10}, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე, 152-ე, 152^2, 153-ე, 153^1 და 153^3–153^5 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 154-ე–154^2, 155^1 და 155^2 მუხლებით, 155^3 მუხლის მე-11–მე-20 ნაწილებით, 155^6 მუხლის

მე-3–მე-5 ნაწილებით, 155^{7}–155^{11}, 156-ე, 157^{1}–158^{1}, 159-ე, 159^{1}, 159^{4}–159^{10}, 163-ე, 164-ე, 164^{4}, 165^{1}–165^{3} და 166-ე–167-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^{2}–171^{4} მუხლებით, 171^{5} მუხლის პირველი, მე-2, მე-4–მე-6 და მე-8–მე-16 ნაწილებით, 172-ე, 172^{4}–172^{6}, 173-ე, 173^{4}–173^{7}, 173^{9}, 173^{12}, 173^{14}, 173^{15} და 174^{1} მუხლებით, 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილით, 175^{1} და 175^{2} მუხლებით, 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებით, 177^{8}, 177^{9}, 177^{11} და 177^{12} მუხლებით, 177^{13} მუხლით (მხოლოდ ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4^{1} ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში), 178-ე, 179^{1}–179^{3}, 180-ე და 181-ე მუხლებით, 181^{1} მუხლის მე-2 ნაწილითა და 182-ე, 183-ე, 187-ე, 187^{1}, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^{3}, 196^{6}, 197^{1}, 197^{2} და 199^{1} მუხლებით.“.

3. 239-ე მუხლის:

ა) მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ამ კოდექსის 45-ე, 45^{1}, 58^{3}, 81-ე, 86^{1}, 100^{2}, 107-ე, 107^{5}, 114^{1}, 114^{2}, 116-ე–116^{3}, 118-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127^{1} მუხლის პირველი–მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, 135^{2}–135^{4}, 139^{5}, 150-ე, 152^{7}, 152^{8} და 153^{3} მუხლებით, 153^{6} მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებითა და 166-ე, 173-ე, 173^{14}, 173^{15}, 174^{1}, 174^{15}, 174^{16}, 175^{2}, 176^{1}, 177-ე, 177^{1}, 180-ე–183-ე, 190-ე, 190^{2}, 191-ე და 199^{1} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45^{1}, 166-ე და 197^{2} მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.“;

ბ) მე-18 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 18^{1} ნაწილი:

„18^{1}. ამ კოდექსის 173^{14} მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილი პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

17 მარტი 2020 წ.

N5751-IIს